

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს და სენატის  
2012 წლის 1-ლი ნოემბრის გაერთიანებული სხდომის  
ოქმი N1(15)

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 27 წევრიდან, ესწრებოდა 15, ხოლო აკადემიური საბჭოს 16 წევრიდან – 12. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე. სხდომას ესწრებოდა სტუ-ს რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

**წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა.**

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუ-ს შიდა აუდიტის სამსახურის შექმნის, დებულების, სტრუქტურის დამტკიცების და აღნიშნული სამსახურის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ - მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

სანამ ქალბატონი ქეთევანი წარმოადგენს საკითხს, მინდა რამდენიმე სიტყვით მეც მოგახსენოთ აღნიშნული საკითხის შესახებ. რექტორთან შეთანხმებით მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ სენატი და აკადემიური საბჭო ერთად შევკრებილიყავით და გვემსჯელა იმ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ, რომელიც ეხება სტუ-ს შიდა აუდიტის სამსახურის შექმნას. გუშინ სენატის საფინანსო-საბიუჯეტი საკითხთა მუდმივმოქმედმა კომისიამ განიხილა ზემოაღნიშნული საკითხი, იგი შეაფასა დადებითად და აღნიშნა, რომ ამ სამსახურს მჭიდრო კავშირი და საქმიანი ურთიერთობა ექნება სენატთან და აკადემიურ საბჭოსთან. ასეთი სახის სამსახურის შექმნაზე ინიციატივა წამოვიდა სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ქალბატონ ქეთევან ქოქრაშვილისგან.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** მინდა მოგახსენოთ, რომ თბილისში არსებულ სასწავლებლებს, რომლებიც არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსით სარგებლობენ, უკვე აქვთ ჩამოყალიბებული ასეთი სახის სამსახური. ჩვენთვისაც ნამდვილად სასარგებლო იქნება გვეკონდეს შიდა აუდიტის სამსახური, რომლის დასკვნებს ექნება რეკომენდაციის ხასიათი და რომელიც გადაამოწმებს სტუ-ში მიმდინარე პროცესებს არა მხოლოდ ფინანსური საქმიანობის თვალსაზრისით.

არსებობს კიდევ ერთი დადებითი მხარე რაც ეხება იმას, რომ ჩვენ კანონის შესაბამისად ყოველ წელს ვიწვევდით ექსპერტთა ჯგუფს, ცხადდებოდა ტენდერი და ვვუხდით საკმაოდ სოლიდურ თანხას, რათა ყოველ წელს წარმოედგინათ აუდიტორული დასკვნა. შესაბამისად მოხდება ამ თანხის დაზოგვაც, რადგან თანამშრომელთა შემადგენლობა აღნიშნული სამსახურისათვის იქნება ადგილობრივი, არსებული თანამშრომლები და ამდენად ფინანსური თვალსაზრისითაც ეს პროექტი მომგებიანია. შემოვდივარ წინადადებით, რომ სტუ-ში ჩამოყალიბდეს შიდა სტრუქტურული ერთეული შიდა აუდიტის სამსახურის სახით. გთხოვთ თანხმობას აღნიშნულ საკითხზე და მზად ვარ ვუპასუხო შეკითხვებს.

**რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი:** სანამ კითხვები იქნება, მინდა რამდენიმე სიტყვით შევეხო იმას, თუ რა იქნება შიდა აუდიტის სამსახურის ფუნქცია. ამ სამსახურის საქმიანობა იქნება ყველაფერის აუდიტი, გარდა სწავლის ხარისხისა. პირველ რიგში კი დიდი საათობრივი დატვირთვების ოპტიმიზაცია, რომლის გადახედვასაც ადმინისტრაცია სთხოვს ფაკულტეტებს. ეს კი რეალურად იმოქმედებს პროფესორის ხელფასებზე, რა თქმა უნდა, ხელფასების გაზრდის თვალსაზრისით. როდესაც ვსაუბრობთ ამა თუ იმ სამსახურის შექმნაზე, მთავარია კარგად ვიცნობდეთ იმ პიროვნებებს, რომლებიც იმუშავენ აღნიშნულ სამსახურში. საგულისხმოა მათი კომპეტენცია, რამდენად არიან ჩახედული სასწავლო პროცესში და იციან თუ არა ფინანსები. ასეთ შემთხვევაში სამსახურის უფროსად ჩვენი კანდიდატურა არის ბატონი მალხაზ ლომთაძე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ეკომონიკურ სამმართველოს, საათების განაწილებაშიც იღებდა მონაწილეობას და ნდობით სარგებლობს თანამშრომლებში. ერთი სიტყვით მას აქვს სათანადო კომპეტენცია ამ საქმეში.

ასევე, მინდა ერთ საკითხზე გავამახვილო თქვენი ყურადღება. ჭორად გაისმა, თითქოსდა სტუ-ს ადმინისტრაციამ საარჩევნო პერიოდში ნაციონალურ მოძრაობას გადაურიცხა 6 000 000 ლარი. ამაზე მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არაპოლიტიკური სასწავლო დაწესებულებაა და მას არც ერთი ლარი არ გადაურიცხავს არც ერთი პარტიისთვის, მათ შორის არც ნაციონალური მოძრაობისათვის, რისი მცდელობაც კი არ ყოფილა არცერთი მხრიდან.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** დავამატებ, რომ ასეთ ქმედებას კრძალავს კანონი და არანაირი გადარიცხვა არ განხორციელებულა სტუ-დან.

**რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი:** მინდა აღვნიშნო, რომ სწორედაც დროულია ასეთი სამსახურის შექმნა, რომელიც გადაამოწმებს ყველაფერს და ასეთი სახის საუბრებს სამუდამოდ მოედება ბოლო სტუ-ში. ასევე მინდა გითხრათ, რომ სტუ-ს დეპარტამენტებმა მოგვაწოდეს თავიანთი მოსაზრებები, თუ რა საკადრო უზრუნველყოფა სჭირდება მათ დეპარტამენტებს. ახლა ბატონები ლევან კლიმიაშვილი და ოთარ ზუმბურიძე თავიანთი კუთხით შეხედავენ ამ საკითხს, შემდეგ ბატონი მალხაზი, თუ თქვენი კეთილი ნება იქნება და იგი დამტკიცდება სტუ-ს შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელად, შეაფასებს თავის მხრივ და შემდეგ მე და ქალბატონი ქეთევანი გადავწყვეტთ, თუ როგორი იქნება ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი. ერთობლივი გადაწყვეტილება სენატის სამსჯავროზე იქნება გამოტანილი. ცვლილება ყოველთვის მტკივნეულია და ამიტომ ყოველგვარი გადაწყვეტილების უკან უნდა იდგეს დამოუკიდებელი ექსპერტული დასკვნა. პირველი ეტაპი ეს არის, შემდეგი კი იქნება ფაკულტეტები. თუ არ იქნება ასეთი კომპლექსური შეფასება, ჩვენ სხვაგვარად ვერ დავდებთ რეალურ ბიუჯეტს.

მინდა დავამატო, რომ ახლა ვამტკიცებთ დებულებას და დროებით სტრუქტურას. ამ სამსახურის შექმნაზე არანაირი თანხა არ დაიხარჯება, რადგან იგი შიდა ადამიანური რესურსით დაკომპლექტდება და შემდეგ კი ქალბატონი ქეთევანი გაგვაცნობს თუ რა იქნება მომავალში.

**სპიკერი:** თუ არის შეკითხვები ბრძანეთ, თუ არადა მოვისმენთ თქვენს აზრს.

**პროფ. იგორ კვესელავა:** მივესალმები კანდიდატურას, ჩვენ ვიცნობთ მას და იგი ნამდვილად პროფესიონალია. კარგი იქნება, თუ ბატონი მალხაზი რამდენიმე სიტყვით გაგვაცნობს ახალშემნილი აუდიტის სამსახურის დებულებას. კიდევ მაქვს ასეთი შეკითხვა: თუ სტუ-ს მომავალში შეეცვალა სტატუსი, აღნიშნული სამსახური დარჩება მის შემადგენლობაში?

**სპიკერი:** თუ არის კიდევ კითხვები, გთხოვთ დასვათ და ბატონი მალხაზი ერთად უპასუხებს თქვენს შეკითხვებს.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** პირდაპირ ვიტყვი, რომ ძალიან სასარგებლო იქნება ასეთი სამსახურის შექმნა. მაგრამ მაინტერესებს, სად უნდა ჩამოყალიბდეს ეს სამსახური: სენატთან თუ რექტორთან? მე ვთვლი, რომ აღნიშნული სამსახური უნდა ჩამოყალიბდეს სენატთან და იგი როგორც რექტორთან, ისე სენატთან იქნება ანგარიშვალდებული.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** როგორც კანონი და არსებული პრაქტიკა ითვალისწინებს, შიდა აუდიტის სამსახური არც ერთ ერთეულთან არ იქმნება, იგი დამოუკიდებელია.

**პროფ. ნოდარ ქაჯაია:** რა როლი ექნება შიდა აუდიტის სამსახურს ბიუჯეტისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშის წარმოდგენისას?

**პროფ. ალექო სიჭინავა:** მისასაღმებელია ამ სამსახურის შექმნა, რადგან მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში ყველა დიდ ორგანიზაციას აქვს ასეთი სახის სამსახური, მაგრამ მე ვთვლი, რომ შიდა აუდიტის სამსახური ანგარიშვალდებული უნდა იყოს მხოლოდ რექტორის წინაშე.

**რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი:** ასე გავაკეთოთ: მე ახლა წარმოგიდგენთ კანდიდატურას სენატისა და აკადემიური საბჭოს გაერთიანებულ სხდომას და მომავალში სამსახური იყოს თქვენს წინაშე ანგარიშვალდებული, მაგრამ კონფიდენციალურობა უნდა იყოს დაცული.

**სპიკერი:** ბატონო მალხაზ, მომავალში თქვენ რომ დოკუმენტს წარმოადგენთ განსახილველად, მასში უნდა იყოს მითითებული თუ რა დონის მოხმარების დოკუმენტია იგი: შიდა მოხმარებისაა, საუნივერსიტეტო თუ საჯარო.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც დამტკიცდა.**

**ბატონი მალხაზ ლომთაძე:** პირველ რიგში მინდა მადლობა მოგახსენოთ დიდი ნდობისათვის და ვდებ პირობას, რომ ჩემს ცოდნას მაქსიმალურად გამოვიყენებ, ვიქნები პასუხისმგებლობით სავსე და კონფიდენციალური.

## აკადემიური საბჭოს №160 და სენატის №15

გაერთიანებული სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს და სენატის 2012 წლის 1-ლი ნოემბრის გაერთიანებულ სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს შიდა აუდიტის სამსახურის შექმნის შესახებ.

აკადემიურმა საბჭომ და სენატმა ერთობლივად გადაწყვიტეს:

1. შეიქმნას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახური;
2. აღნიშნული სამსახურის ხელმძღვანელად დაინიშნოს ბატონი მალხაზ ლომთაძე;
3. აღნიშნული სამსახურის თანამშრომელთა საშტატო რაოდენობა განისაზღვროს 5 ერთეულით;
4. დამტკიცდეს აღნიშნული სამსახურის დებულება.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მაღლობა მოახსენა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

აკადემიური საბჭოს

თავმჯდომარე

არჩილ ფრანგიშვილი

სენატის სპიკერი

ჯემალ გახოკიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი

გიორგი სალუქვაძე

სენატის სხდომის მდივანი

თამარ ბუზიაშვილი